პროექტი

განკარგულება N__

შპს „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალში ცვლილებების შეტანის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის დ.ბ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე- 2 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს შპს „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ 4419941020) კაპიტალში განახორციელოს შემდეგი სახის ცვლილებები:
   ა) საზოგადოების კაპიტალიდან ამოღებული იქნას ავტობუსი „პაზ-42-24“ (სახელმწიფო ნომერი VZZ561; საიდენტიფიკაციო ნომერი-X1M42340070001647, გამოშვების წელი 2007)
   ბ) საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შემცირდეს ავტობუსი „პაზ-42-24“ (სახელმწიფო ნომერი VZZ561; საიდენტიფიკაციო ნომერი-X1M42340070001647, გამოშვების წელი 2007) საბალანსო ღირებულებით.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული

სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე:

ჭავჭავაძის ქ. N4.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი - მალხაზ ჩხიკვაძე

დასკვნა

შპს „ავტოსერვისცენტრის“ (ს/კ - 4419941020) კაპიტალში ცვლილებების შეტანის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გამგებებელი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს: კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ; მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს კაპიტალში ცვლილების შესახებ; სამეწარმეო იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ;

ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საკრებულოს განკარგულება.

ამდენად განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

მალხაზ ჩხიკვაძე